კვირას თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ბაქოს „ნეფთჩი“.

სსრ კავშირის ფედერაციის თასის გათამაშება საკავშირო ჩემპიონატის პარალელურად, შესვენებათა პერიოდში მიმდინარეობს. ზოგიერთი გუნდის ხელმძღვანელობა ამ შეჯიბრებას საერთო მზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევს და ძირითადი შემადგენლობის საბრძოლო მზადებისა და შეთამაშებისთვის იყენებს, მაგრამ მწვრთნელთა მეორე ნაწილი სხვა კუთხით უდგება ფედერაციის თასის მატჩებს, ცდილობს ახალგაზრდა ფეხბურთელები გამოსცადოს, პერსპექტიული გზა გაუკაფოს პირველი შემადგენლობისკენ.

ასე იყო ამ მატჩშიც. ბაქოელთა გუნდში უმთავრესად ძირითადი ფეხბურთელები გამოდიოდნენ (არ იყვნენ აჰმედოვი და პონომარიოვი), თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ კი ჩივაძის, სულაქველიძის, კეტაშვილის, ჭედიას, შენგელიას, კაკილაშვილის ნაცვლად ადგილი დაუთმო ახალგაზრდებს, რომელთაც მონდომებით, აქტიურად ითამაშეს, მაგრამ აშკარად შესამჩნევი იყო, რომ ზოგიერთი მათგანის საერთო კლასი და ოსტატობის დონე ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ვეტერანთა გამოცდილებას.

დინამოელთა რიგებში უნარიანად, საკმაოდ კვალიფიციურად ითამაშა ცვეიბამ, რომელიც აშკარად გამოირჩეოდა დაცვის ხაზში. შუა რგოლში ყველაზე აქტიური იყო რევიშვილი. ბაქოელებს იგი უმეთვალყურეოდ ჰყავდათ დატოვებული. რევიშვილმაც კარგად გამოიყენა ეს ვითარება და ძლიერად ჩაატარა მთელი მატჩი. ბაქოელთაგან გამოირჩეოდა კასუმოვი, რომელიც ხშირად ქმნიდა სახიფათო მომენტებს გაბელიას კართან.

საერთო უპირატესობას დინამოელები ფლობდნენ. ტაიმის დასასრულს, 44-ე წუთზე ჩელებაძის გადაცემა კარგად გამოიყენა გურულმა და ახლო მანძილიდან გაიტანა ბურთი ჟიდკოვის კარში.

შესვენების შემდეგ ბაქოელებმა საგრძნობლად გამოასწორეს მდგომარეობა. კვლავ აქტიურად იბრძოდა კასუმოვი. 57-ე წუთზე სწორედ მისი დარტყმა მოიგერია გაბელიამ, მაგრამ ჯავადოვმა ყველაზე ადრე მიუსწრო ბურთს და გაათანაბრა ანგარიში - 1:1.

გუნდების შემადგენლობანი: „დინამო“ - გაბელია, ფირცხალავა, ცვეიბა, სვანაძე, მალანია, რევიშვილი, აფციაური, ჟორდანია, ცაავა (ბიგვავა, გოგრიჭიანი), ჩელებაძე (ფანცულაია), გურული. „ნეფთჩი“ _ ჟიდკოვი (პერესკოკოვი), ფედოროვსკი, ბელიალოვი, მირზოევი, პანჩიკი, კასუმოვი, ჰუსეინოვი (ალაჰვერდიევი), ვახაბ-ზადე.

ლელო 28.04.1987